

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია  
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



## საიას მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი ჟურნალისტზე ზეწოლის ფაქტს ეხმაურება

2014 წლის 8 ივნისს ტელეარხი 25-ის ეთერში გავიდა ჟურნალისტის ჯაბა ანანიძის [საგამოძიებო ფილმი სახელწოდებით „უმადლესი კომფორტი“](#) . ფილმი შეიცავს ინტერვიუებს აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს კომისიების ხელმძღვანელებთან, მათ მიერ განეული საქმიანობის, მათ შორის უცხო ქვეყნებში მივლინებების დროს განეული საქმიანობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

ჯაბა ანანიძის განცხადებით, ფილმის ეთერში გასვლის შემდეგ, იმავე საღამოს მას

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge); [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)  
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: [gyla@gyla.ge](mailto:gyla@gyla.ge); [www.gyla.ge](http://www.gyla.ge)

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ტელეფონზე დაუკავშირდა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე მედეა ვასაძე. ჟურნალისტმა ანარმთა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რომლის ნაწილი გამოქვეყნდა ტელეარხი 25-ის 2014 წლის 9 ივნისის საინფორმაციო გამოშვებაში. ჩანაწერში მედეა ვასაძე ჟურნალისტს მუქარის ტონით ესაუბრება და ეუბნება: „ახლა მე ვინცებ შენს წინააღმდეგ მუშაობას, ყველა მაგ ფაქტს წაგიქცევ მე შენ ცოტა ხანში;“ „ჯაბა, ცოლი გყავს შენ? ეხლა რა მინდა გითხრა მე შენ. იცი ქალაქში რა ხმები დადის შენზე? საეჭვო მიხვრა მოხვრა აქვსო ჯაბასო, ორიენტაციას აყენებენ შენსას ეჭვქვეშ;“ „აი მე ხვალ უნდა დავერეკო პროკურორს და უნდა ვუთხრა რომ შენ, ჯაბა ანანიძე, რო აფურთხებ ცხვირ-პირში რესპუბლიკის პროკურორს და პროკურატურას როგორ არ რცხვენია, აი ამას ვეტყვი მე ხვალ პროკურორს, რამდენ ხანს უნდა აჯიჯგინო საკუთარი თავი და მედეა ვასაძე.“

ჯაბა ანანიძესა და მედეა ვასაძეს შორის სატელეფონო საუბარი წარმოადგენს ბენოლას ჟურნალისტზე მომავალში არ მოამზადოს კრიტიკული მასალა აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის შესახებ. მაღალი თანამდებობის პირის მიერ ჟურნალისტის მიმართ მსგავსი დამოკიდებულება საფრთხის ქვეშ აყენებს კრიტიკულ ჟურნალისტურ საქმიანობას. მომხდარი წარმოადგენს მედიის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას და შეუთავსებელია დემოკრატიულ სახელმწიფოში მედიის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანეს ღირებულებებთან.

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ მედეა ვასაძის დამოკიდებულება ჟურნალისტის საქმიანობისადმი ახდენს მთლიანად აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს დისკრედიტაციას. ამის გამო აუცილებლად მიგვაჩნია აჭარის ა/რ უმაღლესმა საბჭომ იმსჯელოს და დააფიქსიროს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მომხდარ ფაქტზე.